პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 15 (12223)
ხუთშაბათი,
18
იანვარი
1962 წ.
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის წარმაჯებას ადამიანები წყვეტენ

კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, ყოველი საბჭოთა ადამიანის სიამაყეს იწვევს. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ დაიწყეს ამ პროგრამის განხორციელება.

სკკპ პროგრამა, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, მესახება რაღაც ზეაღმართულ გიგანტურ კარკასად, შენების პროცესში მყოფ უზარმაზარ ნაგებობად, რომელიც დფარულია თავისებური ხარაჩოებით და რომლის საფეხურიდან საფეხურზე ასვლით ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავიანთი შრომით ქმნიან სიმდიდრეს, ავსებენ ამ კარკასს, აგებენ კომუნიზმის შენობას.

ავავსოთ სიმდიდრით ჩვენი კომუნისტური სახლი — ნიშნავს გადავვრათ საბჭოთა ეკონომიკის განვითარების კონკრეტული ამოცანები. მძლავრ მრეწველობასთან ერთად უნდა გვქონდეს თანამედროვე სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ხალხის მზარდი მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხია. მის წარმატებით გადასაჭრელად წარმართავს პარტია ყველა საბჭოთა ადამიანის ღონისძიებებს.

სკკპ XXII ყრილობის დამთავრებისთანავე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გაშალა სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების პრაქტიკული განხორციელებისათვის. მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების გადაუდებელი ამოცანები დაისვა ზონალური თათბირების განსახილველად. თათბირების მუშაობაში მონაწილეობდა სოფლის მრავალი ათასი მშრომელი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანთა დიდ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე თათბირებმა ყოველი ზონის პირობებთან შეფარდებით განსაზღვრეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა გამოყენების კონკრეტული გზები, რათა განუზომლად უფრო სწრაფი ტემპით გადიდდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მშრომელთა თათბირმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, გამოავლინა დიდი რეზერვები, გააკრიტიკა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, დასახა ღონისძიებანი, რათა თვითეულ ჰექტარ მიწაზე მიღებულ იქნას პროდუქცია მაქსიმალური რაოდენობით. გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ მინსკში სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე წარმოთქმული სიტყვა; ამ სიტყვაში მან წამოაყენა მთელი რიგი პრინციპულად ახალი საკითხები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობისათვის, პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

ბელორუსიას აქვს ყველა საჭირო პირობა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის. მას შეუძლია ჰქონდეს ყველაზე მდიდარი სოფლის მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არსებითად ერთ ადგილს ტკეპნინ უმნიშვნელოვანეს პროდუქტების წარმოებაში. ბელორუსიის სოფლის მეურნეობაში არადამაკმაყოფილებელი ვითარება უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ გონივრულად არ იყენებენ მიწას, დაბალია ორგანიზატორული მუშაობის დონე.

ბელორუსიის სოფლში აღიზარდა წარმოების ბევრი ნიჭიერი ორგანიზატორი, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატი, რომლებიც გაბედულად კაფავენ შრომის კომუნისტური ნაყოფიერების გზას. ისინი აღწევენ ისეთ წარმატებებს, რომლებითაც მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს. კარგ მაგალითს გვიჩვენებენ მესიმინდე მექანიზატორები ვლადიმერ უუდრო, ანატოლი შეკუნოვი, მიხეილ ბობდარუკი, მელორე ალექსანდრე ღორონკო, მწველავი ნადეჟდა ლევშუნოვა, კარტოფილისა და სელის უხვი მოსავლის ოსტატები კონსტანტინე პაპკო, პავლე სერიდჩი, ევა კარაჩანი, ვლადიმერ კუპცოვი და ასობით სხვა ნოვატორი. მათი გამოცდილება ფასდაუდებელი სიმდიდრეა. იგი საყოველთაო კუთვნილება უნდა გავხადოთ, მოწინავეთა მაგალითად უნდა ვასწავლოთ ყველა მიწათმოქმედისა და მეცხოველეს.

საქმის წარმატებას, ხაზგასმით აღნიშნავდნენ თათბირის მონაწილენი, წყვეტენ ადამიანები, მათი ორგანიზაცია. ადამიანებთან მუშაობა. „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲐᲮᲐᲡᲐᲗᲐᲑᲐ. ᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, — თქვა თავის სიტყვაში მინსკში ნ. ს. ხრუშჩოვმა. — უნდა გახსოვდეთ, რომ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲝᲗᲥᲕᲐᲗ ᲡᲘᲪᲘᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲐᲠᲗᲕᲔᲑᲘ, ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲛᲘᲗᲐᲠᲗᲕᲔᲑᲘ, ᲬᲔᲠᲝᲗ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘ. ᲖᲝᲒᲯᲐᲠ ᲛᲘᲗᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ“.

საქმის უნარიანი ორგანიზაციის, ადამიანებთან ყველგან მუშაობის პირობებში შეიძლება სწრაფად წავწიოთ წინ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხორცის წარმოების გადიდებას. ამისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი რეზერვები აქვთ. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ღორის დაჩქარებული გასუქება. სოფლის მოწინავე მშრომელები აცხადებენ, რომ მათ შეუძლიათ შეასრულონ ამოცანა — 1962 წელს გაასუქონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ ყოველ 2-3 ჰექტარ სახნავზე დაახლოებით ასი კილოგრამი წონის ერთი ღორი. ეს შესაძლებელს გახდის უკვე წელს მკვეთრად გადიდდეს ხორცის წარმოება. შემდგომი წლებისათვის ბელორუსიის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ დაისახონ მიზანი—გაასუქონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ ერთი ღორი ჰექტარ სახნავზე და ამით უზრუნველყონ 70 ცენტნერი ღორის ხორცის მიღება 100 ჰექტარ სახნავზე.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში მთავარია მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. იქნება საკვები — პირუტყვიც, ხორციც, რძეც იქნება. ბელორუსიის პირობებში საკვების წარმოების პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ბაზი სიმინდის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის საშუალებით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შაქრის ჭარხლის მოყვანა პირუტყვის საკვებად ხორცის წარმოების გადიდების მთავარი რეზერვია. ეს მძლავრი კულტურა უნდა გამოვყოთ ახლა პირველ პლანზე და სიმინდთან ერთ რიგში ჩავაყენოთ. ფართო გზა უნდა მიეცეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში ბარდას, საკვებ პარკოსნებს, ხანჭკოლას. სიმინდის თესვა-მოყვანაში საჭიროა უფრო მაღალი კლასი, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მივიღოთ ბაზტაროიანი სიმინდი. უტაროო სიმინდის სილოსი სრულფასოვანი საკვები არ არის.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ინტერესები მოითხოვს გადაჭრით უარყოთ მიწათმოქმედების მკვდარი ნათესბალახიანი სისტემა, რომელიც თვით ცხოვრებამ უარყო. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილი როდია ამოვძირკვოთ ნათესბალახიანი სისტემის ფესვები. რაც მთავარია, უნდა გარდავქმნათ მუშაობა, შემოვიღოთ მიწათმოქმედების უფრო პროგრესული სისტემა, რომელიც შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირეულ საკითხებს. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დიდი და დაძაბული მუშაობა უნდა გასწიონ. მათ ბევრი რამ უნდა გაიკეთონ თვითეული ჰექტარი მიწის უაღრესად ეფექტიანი გამოყენებისათვის, სამეცნიერო და საცდელ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ქვეყანაში მეტად მაღალია მეცნიერების როლი, მეცნიერები დიდი პატივისცემით სარგებლობენ. მაგრამ, როგორც თათბირზე გამოირკვა, ბელორუსიის ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება ჯერჯერობით დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ზოგჯერ არასწორ რეკომენდაციებს აძლევს მათ, მუშაობს პრაქტიკისაგან მოწყვეტით.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებას აღწევენ ის მეურნეობანი, რომლებსაც მეთაურობენ კარგი ორგანიზატორები, საქმის მცოდნენი, რომლებსაც შეუძლიათ დარაზმონ და აღაფრთოვანონ ადამიანები. ჩვენს სოფლში ბევრი ნიჭიერი მშრომელია, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მაშასადამე, საჭიროა შევარჩიოთ საუკეთესო ენთუზიასტები, რომლებიც მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ სოფლის მეურნეობის აღმავლობას, განვამტკიცოთ ასეთი ენთუზიასტებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. რა თქმა უნდა, არ უნდა დავუშვათ კადრების ხელაღებით შეცვლა. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მზრუნველობით მოეკიდონ თვითეულ მუშაკს, ასწავლონ საუკეთესო ორგანიზატორთა გამოცდილების მიხედვით, დაეხმარონ მას.

დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელებას. ჩვენი წესია: საუკეთესო ანაზღაურება მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, აგრონომების, ზოოტექნიკოსებისა და ინჟინრების, კომუნისტებისა და კომკავშირელების, სოფლის მეურნეობაში ყველა მომუშავე ვალია თავიანთი ბეჯითი შრომით, დაუცხრომელი ენერგიითა და უნარით აამოქმედონ მდიდარი რეზერვები, გამოიყენონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი, სწრაფად წასწონ იგი წინ. თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა და ოლქმა, თვითეულმა საბჭოთა რესპუბლიკამ ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.

განიზაბორული მუშაობა ადამიანებთან, ადამიანებს უნდა ვასწავლოთ და შთავაგონოთ. კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი უნდა იცნობდეს თვითეულ ადამიანს, მის სიხარულსა და მწუხარებას, მის ცხოვრებასა და შრომას, ეხმარებოდეს კოლმეურნეს ან საბჭოთა მეურნეობის მუშას მუშაობასა და ცხოვრებაში“.

ПРАВДА
17 იანვრის მოწინავე

საპატიო ჯილდოები

1961 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. ერფურტში მოეწყო საერთაშორისო გამოფენა მეხილეობაში. ამ გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, სსრ კავშირი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხილის, ციტრუსების ახალი ჯიშები, მეფუტკრეობა, მეყვავილეობა და სხვ. ეს გამოფენა დათვალიერა სამ მილიონ ნახევარზე მეტმა კაცმა.

დიდი იხტერესი გამოიწვია სსრ კავშირიდან, კერძოდ საქართველოს სს რესპუბლიკიდან წარდგენილმა ექსპონატებმა. აღსანიშნავია, რომ ასეთ გამოფენაში სსრ კავშირი პირველად მონაწილეობდა. განსაკუთრებული ყურადღება მოწოდება დამსახურა საქართველოში გამოყვანილმა ციტრუსების ახალმა ჯიშებმა, ქართულმა ფუტკარმა, ხილის ჯიშებმა და სხვ.

მეხილეობის საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოს სს რესპუბლიკამ დაიმსახურა 15 ოქროს მედალი, 5 ვერცხლის მედალი, 1 ბრინჯაოს მედალი, 1 საპატიო „ჯილდო — ბროლის თეთრი მრგვალი ვაზა და დიპლომები. მათ შორის სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალმა მიიღო 2 ოქროს მედალი, 1 ბროლის ვაზა, სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა — 3 ოქროს მედალი და 1 ვერცხლის მედალი; სკრის მეხილეობის საცდელმა სადგურმა, გორის, ზუგდიდის ხილის დამაძაბადებელმა პუნქტებმა, ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ, ქიწნისა და ბრეთის საბჭოთა მეურნეობებმა, ჩხოროწყუს მეფუტკრეობის საჩვენებელმა სადგურმა დაიმსახურეს ოქროს მედლები, გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობამ — კერცხლის მედალი და სხვ.

17 იანვარს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოეწყო მეხილეობის საერთაშორისო გამოფენაში დაჯილდოებულთა შეკრება. ამ გამოფენის მუშაობის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ბ. იაკობაშვილმა. მან დაჯილდოებულთ მიულოცა მაღალი ჯილდოების მიღება და ახალი წარმატებები უსურვა შემდგომ მუშაობაში.

შუქურების მაგალითით

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ გამოცდილების გაზიარების მიზნით ამბროლაურის რაიონის სოფელ ფესის მეჩვიდმეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობას შეუდგა შუქურების სკოლა. მისი ხელმძღვანელია კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსი მწველავი ა. გოგიბერიშვილი.

შუქურების სკოლაში, გარდა ადგილობრივი მცხოვრებლებისა, მეცადინეობას ესწრებიან ამ საქმით დაინტერესებული კოლმეურნეები მეზობელი კოლმეურნეობებიდან.

აკ. კერესელიძე.

დიდი მწერლის პატივსაცემად

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების ოთხმოცი წლისთავს.

კარლ მარქსის სახელობის რუსპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოწყობილია იუბილარის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტენდი, სადაც გამოფენილია მწერლის „მოთხრობები“, „გვიკი შადური“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, აგრეთვე თარგმანები რუსულ ენაზე.

აქვეა გ. ჯიბლაძის, დ. ბენაშვილის, შ. რადიანის, ვ. იმედაძის, ს. ჭილაიას, ტ. კვანჭილაშვილის და სხვათა კრიტიკული წერილები.

ნ. ᲒᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მიხეილ ჯავახიშვილი

ნახ. შ. ჯაფარიძისა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

შვიდწლედის ნაბიჯებით

დიდმნიშვნელოვანი მეშენებლობანი

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ წელს 700-ზე მეტი ობიექტი მზადდება საექსპლოატაციოდ გადასაცემად ხაბაროვსკის მხარეში. გარდა საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებისა, მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგება ახალი საამქროების კორპუსები ქაღალისა და დიზელის ქარხნებში. ამურის ფოლადის ქარხანაში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს საგლინავი დგანი „2300“. მთავრდება შორეულ აღმოსავლეთში უდიდესი საკონდიტრო და სამკერვალო ფაბრიკების მშენებლობა ხაბაროვსკში.

წიაღის სიმდიდრე

ᲔᲚᲘᲡᲢᲐᲜᲘ, 16 იანვარი. (საკდესი). უზარმაზარ ტერიტორიაზე — კასპის ზღვის ნაპირებიდან კავკასიონის ქედის ტოტებამდე, ყუბანის ნაყოფიერ ველებამდე — შრომობენ წიაღის მზვერავები. სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკების რაიონებში ასზე მეტი გეოლოგიური პარტია მუშაობს. წიაღის ჰკვლევარებს შეხვდებით ველებში, მდინარეთა ხეობებში, კავკასიონის ქედის ჰაღალი მთის პუნქტებში, რომლებიც ზოგან ზღვის დონიდან 3.500 მეტრამდე სიმაღლეს აღწევენ.

ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲐᲜᲨᲘ ამუშავდა ჩირიიურტოკის ელექტროსადგური, რომელსაც ვ. ი. ლენინის სახელი მიეკუთვნა.

ჩრდილოეთ კავკასიის გეოლოგიური სამმართველოს მთავარმა გეოლოგმა ვ. ტერენტიევმა საკდესის კორესპონდენტს აცნობა:

— უკანასკნელ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილია ფერადი ლითონების მთელი რიგი ახალი საბადოები, ფრიად წარმატებითი იყო გაზისა და ნავთობის საბადოების ძიება, რომლებითაც მდიდარია ჩრდილოეთ კავკასიის წიაღი. ახალი ნავთობიანი მოედნებია დაზვერილი დაღესტანში. პირველად აღმოჩნდა პერსპექტიანი ნავთობიანი მოედნები ჩრდილოეთ ოსეთში. უახლოეს ხანში დაიწყება ღრმა ჭაბურღილების ბურღვა ამ რესპუბლიკაში.

გრძელდება საშენი მასალების, კერძოდ, ცემენტის მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულის ძიება.

ᲛᲝᲬᲠᲬᲣᲚᲐ... ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲘᲓᲐᲜ

ᲑᲐᲥᲝ, (საკდესი). საინტერესო საირიგაციო ძაფნებლობა ბორცელ-ღება სფშერონის ნახევარკუნძულზე. აზბესტცემენტისა და ლითონის მილების სარწყავი ქსელი გაყვანილია მიწის ქვეშ. ტენი მილებიდან დაწნევით გადაეცემა, ხოლო მორწყვა წარმოდის საწვიმებელი დანადგარების მეშვეობით. ნახევარკუნძულზე სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მორწყვადი 15 ათასი ჰექტარი მიწა.

აზერბაიჯანში სულ უფრო დიდ გაქანებას პოულობს ბამბის ნათესების მორწყვის სამუშაოები. რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში 60 ათას ჰექტარ მიწას ტენით უზრუნველყოფს მდინარე. აქსტაფა-ჩაის წყალსაცავი, რომლის მშენებლობას იწყებენ ირიგატორები. აქვე მომდინარე წელს აშენდება 150 არტეზიული ჭა, სატუმბავი სადგურები.

ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 17 იანვარი. (საკდესი). ამას წინათ საქართველოში გამოვლინებული სენგამძლე ჯიშის ახალი ხორბლის გამოკვლევა დამთავრდა მემცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის გენეტიკის ლაბორატორიაში. ცნობილი საბჭოთა მემცენარე ბოტანიკოსის პ. მ. ჟუკოვსკის პატივსაცემად ამ ჯიშს მიეკუთვნა მეცნიერის სახელი. ახალი ჯიშის ხორბალი იპოვნეს იქ, სადაც მოდის ზანდურის ჯიშის ხორბალი, რომელიც ჯერ კიდევ ოცი წლებში აღმოაჩინა პროფესორმა პ. მ. ჟუკოვსკიმ და უკანასკნელ დრომდე დედამიწის ყველა ჯიშის ხორბლიდან ყველაზე სეგამძლედ ითვლებოდა.

ახალი ჯიშის ხორბლის გამოკვლევას აწარმოებდა ასპირანტი ე. ვ. ტავრინა გენეტიკის ლაბორატორიის გამგე ტ. ი. ზარუბაილოს ხელმძღვანელობით. ეს გამოკვლევა ასალგაზრდა მეცნიერის დისერტაციის მასალაა.

მუშათა პარტიის ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 16 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა ხალხი აღნიშნავს პოლონეთისა და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიის შესანიშნავ მოვლენას — პოლონეთის მუშათა პარტიის მეოცე წლისთავს. ამ თარიღს მიეძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიისა და უმაღლესი პარტიული სკოლის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც დღეს გაიმართა მოსკოვში, უმაღლესი პარტიული სკოლის ლენინის აუდიტორიაში.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა პ. ნ. პოსპელოვმა. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ. იაშჩუკმა. მოხსენება „პოლონეთის მუშათა პარტიის დაარსების 20 წელი“ გააკეთა დოცენტმა ვ. ტ. ფომინმა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ოთხმოცი წელი შესრულდა მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან. მთელი საქართველო ღირსეულად აღნიშნავს დღეს ამ თარიღს.

მიხეილ ჯავახიშვილი მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის მძიმე, მაგრამ სასახელო უღლის ერთი პირველი გამწევთაგანია, ამ ლიტერატურის დიდი მოამაგე და მოჭირნახულე.

ბევრ ქართველ, და იქნებ არა მარტო ქართველ მწერალს ნამდვილად არ ღირსებია სიცოცხლეშივე, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ისეთი სახელი და პოპულარობა, როგორიც მიხეილ ჯავახიშვილს ხვდა წილად. ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს, როგორ სულმოუთქმელად ეწაფებოდნენ საქართველოში გამოქვეყნებისთანავე მის მოთხრობებსა და რომანებს, როგორ თვალისდახამხამებაში ქრებოდა წიგნის მაღაზიებში მისი ყოველი ახალი ნაწარმოები, რა მოუთმენლად ელოდა მკითხველი მის ყოველ ახალ წიგნს. ეს უსაზღვრო ინტერესი მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი დღესაც არ შენელებულა ჩვენში.

მიხეილ ჯავახიშვილის ეს პოპულარობა და დაუყოვნებელი სახელი აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი თავის შემოქმედებაში მხატვრული სიტყვით, თავისებურად, მკვეთრად უპასუხებდა მთავარ, ძირეულ პრობლემებს, რომლებსაც მისი თანადროულობა აყენებდა ჩვენი ხალხის წინაშე.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე პაწია მოთხრობას, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა სიჭაბუკეში, ცხრაასიან წლებში გამოაქვეყნა, მან ქართულ მწერლობაში არსებითად ფეხი რევოლუციის შემდეგ, ოციან წლებში შემოდგა.

ეს ის პერიოდია, როცა ქართული კლასიკური მწერლობის, კლასიკური რეალიზმის დიდ გზაზე უკვე თვალს ეფარებოდა უკანასკნელი ორი თეთრი მოხუცის სილუეტი, ქართული ლიტერატურის ორი კორიფე დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი.

მიხეილ ჯავახიშვილმა ღირსეულად განაგრძო და მთელი თავისი მაღალი ნიჭი შესწირა ქართულ ნერგზე კლასიკური რეალიზმის ტრადიციების მტკიცედ დამაგრებას, რითაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ გაშლასა და აყვავებას.

ჯავახიშვილის რეალიზმი ჩვენს მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის ტრადიციების გაგრძელებაა, მაგრამ ეს რეალიზმი თავისებური, ახლებური, თუ შეიძლება ასე ითქვას, რევოლუციის ეპოქის კრიტიკული რეალიზმია. ჯავახიშვილის უაღრესად მახვილი თვალი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში პირველ ყოვლისა იმ ნაკლსა და მანკიერებას ეძებს, რაიც რევოლუციური გარდაქმნების ეპოქაში აქაიქ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა და თავისებურად ებრძვის კიდეც მათ, მოუთმენლად, დაუზოგავად.

დიდი, ერთობ დიდი ღვაწლი დასდო მიხეილ ჯავახიშვილმა ქართულ ლიტერატურას, ჩვენი მწერლობის აყვავების საქმეს არა მარტო თავისი მხატვრული სიტყვით, არამედ თავისი მწერლური პრაქტიკული საქმიანობითაც.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲬᲔᲠᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ, 15 იანვარი. (საკდესი). სტატიაში „გადასახლების საკითხი“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ 1913 წლის 8 ივნისის ნომერში, ვ. ი. ლენინი ეხება რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას და ახასიათებს ყოფილი ქუთაისის მაზრის, კერძოდ სოფელ კიკნაველეთის, გლეხთა მძიმე მდგომარეობას.

„... გადასახლების ფონდი იქმნება მკვიდრთა საადგილ-მამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის“ კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის.

დეპ. ᲩᲮᲘᲔᲫᲔ მოიყვანა აგრეთვე ოფიციალური წყაროებიდან ამოღებული მთელი რიგი მონაცემები, თუ როგორ ერეკებოდნენ მკვიდრთა მთელ სოფლებს თავიანთი მამაპაპისეული ადგილებიდან მიწის საკოლონიზაციო ფონდის შექმნის ინტერესებისათვის, როგორ აკაბარკებდნენ მთელ რიგ სასამართლო პროცესებს, რათა გამართლებინათ მთიელების მიწის ექსპროპრიაცია (თავადაზნაურობის წინამძღოლის თავ. წერეთლის მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ქუთაისის მაზრის, კერძოდ სოფელ კიკნაველეთის, შესახებ) და ა. შ. და ყოველივე ეს ერთეული და გამონაკლისი ფაქტები კი არ არის, არამედ „ტიპიური შემთხვევები“, როგორც სენატორი კუზმინსკიც აღნიშნავს. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტომი 18, გვ. 101-102).

მწარე იყო ყოფილი ბაღდადის რაიონის მთის სოფლის კიკნაველეთის მცირერიცხოვანი მოსახლეობის ბედი, სოფლისა, რომელიც ქუთაისიდან 50 კილომეტრზე მდებარეობს. შიმშილი და ხილატკეკ, უმიწაწყლობა, მეფის მოხელეთა უხეში თვითნებობა. ასეთი იყო მათი ხვედრი.

სრულიად შეიცვალა სოფლის ცხოვრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. კიკნაველეთიდან რაიონულ ცენტრამდე — დაბა მაიაკოვსკამდე გაყვანილია საავტომობილო გზა. იზრდებოდა სოფელი, გამრავლდა აქ შექმნილი კოლმეურნეობის სიმდიდრე. სოფლელებმა ააგეს ათობით ახალი სახლი, ელექტროსადგური, ორი დაწყებითი და ერთი საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა. კიკნაველეთში გადასახლდა მრავალი გლეხი მთებიდან. თუ წინათ სოფელში ცხოვრობდნენ მხოლოდ კიკნაველიძეები, სწორედ ამიტომ ატარებდა იგი ამ სახელს, ახლა აქ გაჩნდა ათობით ახალი გვარი.

სოფელს დაერქვა აქაური მდინარის სახელი — საკრაული. ამჟამად საკრაული მაიაკოვსკის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე სოფელია. მისი კოლმეურნეები წლიდან წლამდე გადაჭარბებით ასრულებენ სიმინდის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმებს. წელს აქ მიღებულია საშუალოდ თითო ჰექტარ ვენახში 60 ცენტნერამდე ყურძენი და სიმინდის უხვი მოსავალი — გეგმით გათვალისწინებულზე 6 ცენტნერით მეტი. კოლმეურნეები გამომუშავებულ შრომადღეზე იღებენ 6 კილოგრამამდე მარცვალს.

შეძლებულ ცხოვრებასთან ერთად იზრდება სოფლის კულტურა. ბევრი კოლმეურნის შვილებმა მიიღეს უმაღლესი განათლება, მუშაობენ პედაგოგებად და ექიმებად, ინჟინრებად, აგრონომებად რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომები მიიღეს და კარგი სპეციალისტები გახდნენ კოლმეურნე ს. ორჯონიკიძის სუთი შვილი, ი. კიკნაველიძის სამი შვილი, ქ. მაჭავარიანის სამი შვილი და ბევრი სხვა.

თავდადებით შრომობენ საკრაულელი კოლმეურნეები. მათ იციან, რომ თავიანთ ბედნი

საზოგადოებრივ საწყისებს — ფართო გზა!

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის III პლენუმი

15 იანვარს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის III პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარებისათვის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაობაში. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა, რ. ფრუნძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ისტორიული XXII ყრილობის შემდეგ ამაღლდა იდეოლოგიური მუშაობის დონე. შემდგომ განვითარდა სოციალისტური, ნამდვილად სახალხო დემოკრატია, მნიშვნელოვნად გამდიდრდა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების არსენალი, ფართო გასაქანი მიეცა საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას, კომუნისტების, მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას. პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობაში.

თბილისში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია პარტიული კომიტეტების შტატგარეშე განყოფილებანი და სხვადასხვა კომისია, შტატგარეშე ინსტრუქტორთა ინსტიტუტი, პარტიული კომისიების ფართო ქსელი, რომლებიც კონტროლს უწევენ საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სხვ. ადმინისტრაციის საქმიანობას.

ფართოდ განვითარდა პარტიული ორგანოების მუშაობაში უშუალო მონაწილეობისათვის კომუნისტთა აქტივის მიზიდვის ისეთი ფორმა, როგორიც არის პარტიის რაიკომების შტატგარეშე ინსტრუქტორთა ინსტიტუტი. ამჟამად პარტიის რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტში მუშაობს 166 შტატგარეშე ინსტრუქტორი. ესენი გამოცდილი, თავისი საქმის მეცოდნე მუშაკები — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან. მათი დახმარებით პარტიული კომიტეტები აუმჯობესებენ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ადგილებზე. ავლენენ არსებულ ნაკლოვანებებს და იღებენ საჭირო ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად. პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების უნარიანი გამოყენების კარგი მაგალითია პარტიის ლენინის რაიკომი, სადაც მუშაობს 18 შტატგარეშე ინსტრუქტორი — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე შტატის ინსტრუქტორი. ისინი მიმაგრებული არიან საშტატო განყოფილებებზე და აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. მარტო შარშან შტატგარეშე ინსტრუქტორების ძალებით მომზადებულია და რაიკომის ბიუროს განსახილველად გამოტანილია 30-ზე მეტი საკითხი.

დიდი ძალა გახდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო ნებაყოფლობითი რაზმეულები, საზოგადოებრივი ავტოსაგზაო ინსპექტორები, ამხანაგური სასამართლოები საწარმოებსა და დაწესებულებებში, ქუჩისა და სახლის კომიტეტები. თბილისში 294 სახალხო რაზმია, რომლებიც 14 ათასზე მეტ მოხალისე რაზმელს აერთიანებენ. ისინი ფხიზლად დგანან საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე. მათი აქტიური მოქმედების მეოხებით შემცირდა წესრიგის დარღვევის შემთხვევები საზოგადოებრივ ადგილებში, ქუჩაში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომლის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტებისა და უპარტიოების ფართო აქტივის ჩაბმას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა ს. სარიშვილმა ილაპარაკა იმ კომისიების საქმიანობაზე, რომლებიც ელმავალსაშენებელ ქარხანაში შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ახალი პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში. მაგალითად, ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობმა კომისიამ მონაწილეობა მიიღო ახალი ელმავლის ტ-40 პროექტის შექმნაში. ეს ელმავალი ცალკე დენზე მუშაობს, მისი გამოშვება მომდინარე წელს დაიწყება.

— უნდა მივაღწიოთ იმას, — ამბობს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი თ. ბელტიხინი. — რომ შტატგარეშე ინსტრუქტორები თავს პარტიული აპარატის განუყოფელ ნაწილად გრძნობდნენ, რომ მათი შრომა უერთდებოდეს პარტიის რაიკომის საქმიანობის საერთო ნაკადს. პარტიის რაიკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ შტატგარეშე მუშაკებს. მაგალითად, კიროვის რაიონში, მთელი რიგი კარგად მომუშავე შტატგარეშე ინსტრუქტორები დაწინაურებული არიან საშტატო პასუხსაგებ პოსტებზე. ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს შტატგარეშე ინსტრუქტორების მუშაობის გაუმჯობესებას, მათი ინიციატივის განვითარებას.

საზოგადოებრივი საწყისები მკვიდრდება ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებში, აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს აღკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა, ს. ხაბეიშვილმა. ქალაქში არის 100 კომკავშირული შტაბი. 439 საკონტროლო პოსტი, 9 საზოგადოებრივ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიურო, თითქმის ყველა დიდ საწარმოში შექმნილია ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოები.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტსა და რაიკომებში შექმნილია ლექტორთა ჯგუფები, რომლებიც 400-ზე მეტ კაცს აერთიანებენ. ერთი წლის განმავლობაში მათ წაიკითხეს დაახლოებით 5.000 ლექცია სულ სხვადასხვა საკითხზე.

საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარების აქტუალურ საკითხებზე ილაპარაკეს პლენუმზე № 2 თამბაქოს ფაბრიკის ნედლეულისა და მასალების ეკონომიური ხარჯვისადმი პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ზ. მატვეევამ, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მეცნიერებისა და უმაღლეს სასწავლებელთა შტატგარეშე განყოფილების გამგემ ა. ბეთანელმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობი პარტიული კომისიის თავმჯდომარემ გ. ზედგინიძემ, გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ რედაქტორმა პ. ასლანიდმ, პარტიის კიროვის რაიკომის სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლ. მარახოვსკიმ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ქ. ოტიაშვილმა, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორმა ნ. კიზიაძემ, ოქტომბრის რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის შტაბის უფროსმა ა. ყანჩაველმა. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომთან შექმნილი უნივერსიტეტის პრორექტორმა გ. ჩხეიძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. გეგეშიძე. (საქდესი).



ცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები, რომლებსაც კომუნისტი ფრიდონ პავლიაშვილი ხელმძღვანელობს, კარგად იყენებენ ტექნიკას. მათ გადაწყვიტეს წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 40 ცენტნერი სიმინდი, 50 ცენტნერი ყურძენი, 32 ცენტნერი ხილი.

სურათზე: ბაღის მწკრივთაშორისების განმეორებითი ხვნა ცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ყრილობის გადაწყვეტილებანი — ფართო მასებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდისა და შესწავლის გაუმჯობესების ღონისძიებებზე იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

როგორც მომხსენებელმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ს. ფხაკაძემ, ისე კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთელ რიგ წრეებსა და სემინარებში მეცადინეობა ჯერ კიდევ დაბალ იდეურ დონეზე ტარდება, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი, ნაკლოვანებებია აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივების მუშაობაში, ყრილობის მასალების პროპაგანდისა და შესწავლისათვის საკმაოდ არ იყენებენ თვალსაჩინო აგიტაციას, ძირეულ პრესას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო დასახა სათანადო ღონისძიებები.

ახალციხე. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ლექტორებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორმოცდაათზე მეტი ლექცია წაიკითხეს სკკპ XXII ყრილობის მასალებზე. რაიონში ეწყობა თეორიული კონფერენციები. ამასწინათ სოფელ მატანაში კონფერენციას ორასზე მეტი კოლმეურნე დაესწრო.

ისევ ძველი გზით?!

არა, ჩაის ასე ვერ მოვიყვანთ

შარშან გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა სახელმწიფოს 100 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი დააკლეს. რაიონის ხელმძღვანელობა ამ ჩამორჩენას ცუდი ამინდებით ხსნიდა. მაგრამ ეს ასე როდია. ჩამორჩენა პირველ რიგში შრომის არასწორი ორგანიზაციით უნდა აიხსნას. გეგეჭკორელებმა ყველა შესაძლებლობა როდი გამოიყენეს უხვად შემოსული ჩაის ფოთლის საკრეფად. ათეულობით ჰექტარი პლანტაცია მოუკრეფავი, კიდევ მეტი—ბარდ-ეკლით იყო დაფარული.

წლიური გეგმის შეუსრულებლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ პლანტაციების ნაწილი გამეჩხერებული იყო. ბევრი პლანტაცია დაავადდა ფარიანებით, მკურნალობა კი არავის არ უწარმოებია. ამ და სხვა „მიზეზებით“ 28 კოლმეურნეობიდან წლიური გეგმა 14 კოლმეურნეობას არ შეუსრულებია.

ლეხაინდრაოს და ნაგვაზაოს კოლმეურნეობებმა, მართალია, წლიური გეგმა შეასრულეს, მაგრამ 1960 წელთან შედარებით შარშან 30-40 ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

მოსალოდნელი იყო, რომ შარშანდელი მწარე გაგვეთილებიდან რაიონის მეჩაიეები საჭირო დასკვნას გააკეთებდნენ და მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღებას ამთავითვე მტკიცე საფუძველს ჩაუყრიდნენ, მაგრამ შემოწმებამ სულ სხვა სურათი გვიჩვენა.

საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები — ჩაის ბუჩქების გადაბარვა, სასუქების შეტანა, საღრენაღო არხების გაწმენდა, პლანტაციების დაცვა პირუტყვისაგან, მრავალწლიანი სარეველებისა და ბუჩქნარების ფესვებისა და ფესურების ამოძირკვა დღეისათვის რაიონის 10 კოლმეურნეობაში არც კი დაუწყიათ.

სერგეთის კოლმეურნეობა განთიადის წევრებმა (თავმჯდომარე შ. აბრახამია, აგრონომი ნ. სურმავა, პარტორგანიზაციის მდივანი უ. წულაია) შარშან საზეიმოდ იუბილეს 110 ტონა ჩაის მოკრეფა, მაგრამ ეს ვალდებულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმაც ვერ შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 98 ტონის ნაცვლად 77 ტონა ფოთოლი ძლივს მოკრიფეს.

ამ კოლმეურნეობის მეექვსე საწარმოო ბრიგადა, რომელსაც ნ. ოდიშარია ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 12,5 ტონის ნაცვლად მხოლოდ 9,5 ტონა ჩაი მოკრიფა. კოლმეურნეობის მეჩაიეობის 7 ბრიგადიდან კი წლიური გეგმა მარტო ერთმა—მესამე ბრიგადამ შეასრულა.

ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა იმით იყო გამოწვეული, რომ პლანტაციების მოვლა-დამუშავების ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

ეს უთავბოლობა წელსაც გრძელდება. შემოწმების დღეს 36 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან ერთი ჰექტარიც არ იყო გადაბარული, არც მინერალური სასუქი იყო შეტანილი, საღრენაღო არხების გაწმენდაზე. ახალგაზრდა პლანტაციებში ახალი არხების გაყვანაზე თავი არავის შეეწუხებია, ჩვენ მიერ დათვალიერებული ჩაის პლანტაციები სავსე იყო ცხენებით, ღორებით, თხებითა და ძროხებით. ცხადია, ასეთ პირობებში ჩაის მოსავლიანობის ზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩანს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს და აგრონომს ეს მდგომარეობა ოდნავადაც არ აღელვებთ.

აქ 12 ჰექტარი ჩაი გამეჩხერებულია. სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის კოლმეურნეობაში ღილმდე არ უფიქრიათ, არ გამოუკვეთ ნერგები შეხვსებული კოშტებით, არც პლანტაციების შეთესვაზე ფიქრობენ.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც დიდი ჯყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე ალ. ჯანჯღავა). წლების განმავლობაში აქ პლანტაციებს მზრუნველობით არ უვლიან. ახალგაზრდა პლანტაციები ბედის ანაბარად არის მიტოვებული, ჩაის ფოთოლი არ იკრიფებოდა და სხვა. ყოველივე ამან გამოიწვია ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შეუსრულებლობა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს შარშან 23 ტონა „მწვანე ოქრო“ დააკლო. კოლმეურნეობის გამგეობის და პირველადი პარტიული ორგანიზაციის სისტემაზე ზემდგომ ორგანოებში შემოდიოდა მამხილებელი კორესპონდენციები. შემოსული კორესპონდენციების საფუძველზე, რომლებიც მოლიანად დადასტურდა, იმსჯელა პარტიის გეგეჭკორის რაიკომმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი, აგრონომები ე. ჯანაშია და ტ. ნადარაია მოხსნილ იქნენ სამუშაოდან ცუდი მუშაობისათვის.

მიუხედავად პარტრაიკომის ასეთი ღონისძიებისა, კოლმეურნეობა ახლაც ჩამორჩენა საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებში. 86 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 31 დეკემბრისათვის გადაბარული იყო მხოლოდ 9 ჰექტარი, ხოლო ფოსფოროვანი სასუქი შეტანილი იყო 20 ჰექტარზე.

საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში არ დაუწყიათ ონოიის, ნახუნაოს, გაჭედილის, გურძემისა და სხვა კოლმეურნეობებს. ეს სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს ნაგვაზაოს და გეგეჭკორის ლენინის სახელობის, კიწიისა და ინჩხურის სასოფლო-სამეურნეო არტელებში.

პარტიის გეგეჭკორის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი ასეთი მუშაობით ვერ უზრუნველყოფენ მომავალი წლის ჩაის უხვ მოსავალს.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ინგირელთა გადაწყვეტილება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). **გასული წელი სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა ინგირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი მ. კაპკორია). საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 111 პროცენტით შეასრულა. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 10 ათასი მანეთით შეამცირა, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 8 პროცენტით. გაჯეულ იქნა ელექტროენერგიისა და საწვავის დიდი ეკონომია.**

დიდი ხანი არ არის, რაც როლერებიდან სურნელოვანი ჩაი დამზარისხებელ საამქროში იგზავნებოდა. ახლა ეს როლერები დუმან. მექანიკოსები თავს დასტარიალებენ მათ, რომ შეაკეთონ. ფაბრიკის კოლექტივმა ამთავითვე გაუშალა მუშაობა სეზონისათვის. მისი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა 1 მარტისათვის დაამთავროს მანქანა-დანადგარების რემონტი, დამატებით დადგას ჩაის დამზარისხებელი ახალი მანქანები, სეზონში შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 6 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 20 ათასი მანეთით.



ლამაზი, კეთილმოწყობილი სოფლისათვის!

სოფლის არქიტექტურა და მშენებლობა თანამედროვე ამოცანების დონეზე

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრულიად ახლებური იერი მიეცა ჩვენს სოფლებს. სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულმა დიდმა წარმატებებმა, კოლმეურნეთა მიერ დაგროვილმა დოვლათმა განსაზღვრა იმ დიდი მშენებლობის მასშტაბი, რომელიც ასე იგრძნობა თითქმის ყველა სოფელში, ჩვენი რესპუბლიკის დასავლეთ თუ აღმოსავლეთ რაიონებში, მთაში თუ ბარში. საკოლმეურნეო სოფლის ახალმა ცხოვრებამ, ბუნებრივია, თავისი გავლენა სოფლის მშენებლობასაც დაატყო. სოფლებში ძრავლად აშენდა კლუბები, კულტურის სასახლეები, ადმინისტრაციული თუ საწარმოო ხასიათის ნაგებობანი. კოლმეურნეები იშენებენ მოხერხებულ ბინებს ფართო ოთახებითა და განიერი აივნებით.

გულს ახარებს სოფლად მშენებლობის ასეთი გაჯანსაღა, თანაც ახლებურად აამეტყველა საკოლმეურნეო სოფლის არქიტექტურულ-მხატვრული სახე.

მაგრამ სოფლის მშენებლობაში თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, რაც არა მარტო მხატვრული თვალსაზრისით არის აღსანიშნავი, არამედ ეკონომიურობაც. სოფლად მშენებლობა ძირითადად ადგილობრივი ძალებით წარმოებს და აშკარად იგრძნობა, რომ ხშირად კოლმეურნეები ვერ ართმევენ თავს მთ წინაშე მდგომ ამოცანებს, რაც პრაქტიკულ-გამოყენებითი თუ მხატვრულ-ესთეტიკური მხრივ სერიოზულ ხარვეზებს იწვევს, უგვემონობის კვალს ტოვებს.

საზოგადოებრივი თუ ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობანი — კლუბები, კოლმეურნეობათა კანტორები და სხვ. თავისი მოცულობით ხშირად ბევრად სჭარბობენ მოთხოვნილებას. ზედმეტი სვეტებით, კაპიტელებითა და ორნამენტებით გადატვირთული ფასადები, უსაფუძვლო პომპეზურობა არა მარტო უგვემონო არქიტექტურის ნიმუშებს ქმნიან, სახსრების გაუმართლებელ ხარჯვასაც იწვევენ.

კოლმეურნეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები აშკარად გამოხატავენ თავიანთი პატრონების შეძლებას, მაგრამ ხშირად მეტად მდარე არქიტექტურით გამოირჩევიან. ამ სახლებს წაერთვა სოფლის საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იერი და სრულიად ზედმეტი „სილამაზით“ შეიმკო. მშენებლები არ სჯერდებიან ტრადიციებით შემუშავებულ ტიპებს და ცდილობენ თავიანთი სახლები მიუახლოონ ქალაქის ტიპის საცხოვრებელ სახლებს. მათ ბრმად გადმოაქვთ ზოგიერთი არქიტექტურული ელემენტი თუ მოტივი. შენობების ფასადები მთავრდება ყრუ პარაპეტებით, რომლებიც სრულიად ზედმეტია ამ შემთხვევაში და თანაც „დამშვენებულია“ მხატვრულად უსახური ორნამენტებითა და სხვადასხვა გამოსახულებებით. ბეტონის განიერი კიბეები, რომელთა აშენებისათვის ფუჭად არის გადაყრილი მასალაც და შრომაც, გამოუსადეგარიც არის და ულამაზოც. ყველაფერი ეს კოლმეურნეთა სახსრების გაუმართლებელ ხარჯვას იწვევს, ეფექტი კი საწინააღმდეგოა: შენობის არქიტექტურული იერი მახინჯდება, უშნო ხდება. ეს მშენებლები თუ ამ შემთხვევაში ასე იოლად თმობენ ქართული ხალხური საცხოვრებელი სახლის შესანიშნავ ტრადიციებს, საკვირველია, რატომ არიან ასე კონსერვატიულად განწყობილნი სახლების შიდა გადაწყვეტისას. ხომ ცხადია, რომ თანამედროვე სოფლის საცხოვრებელი სახლი ხშირად მოკლებულია ელემენტარულ კომფორტს. სამზარეულო ცალკე დგას, დიასახლისებს ამის გამო დიდი ჯაფა ადგიათ. სახლი მოკლებულია სანიტარულ კვანძს და სხვ. ამის გადაწყვეტა კი არც ისე დიდ სირთულეს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, სოფელს კანალიზაცია აქვს თუ არა. სოფლად მრავალგვარი სისტემა შეიძლება შეიქმნას თუგინდ დაგროვილი წყლის გამოყენებისა.

საქმე ის არის, რომ კოლმეურნეს არა აქვს საშუალება ააგოს სახლი არქიტექტორის მიერ დაგეგმილი, ყოველმხრივ გააზრებული პროექტით, რადგან ასეთი პროექტები არ არსებობს. კოლმეურნეს კი უნდა ჰქონდეს არა ერთი და ორი, არამედ ასარჩევი რაოდენობა ტიპური პროექტებისა, რომ თავისი სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით მიიღოს პროექტი, რომელიც მიზანშეწონილი იქნება სოფლად მშენებლობისათვის.

საპროექტო ინსტიტუტმა „სოფლმშენსახპროექტმა“ ინიციატივა გამოიჩინა. მოაწყო შიდა კონკურსი კოლმეურნის საცხოვრებელ სახლზე. შედეგებმაც მალე იჩინა თავი: შექმნილია პროექტები, რომლებიც, შესაძლოა, კიდევ მოითხოვს შემდგომ დამუშავებას, მაგრამ მტკიცე საფუძველს ქმნის სოფლად არქიტექტურულად გამართული სახლების მშენებლობისათვის. ამ წამოწყებას ხელი უნდა შეუწყოს არქიტექტურულმა საზოგადოებამ, კარგი იქნება, თუ აღნიშნული ინსტიტუტიც შემდგომი მუშაობისათვის მოიწვევს იმ არქიტექტორებს, რომლებსაც წლების განმავლობაში შეუსწავლიათ ქართული ხალხური საცხოვრებელი, უმუშავიათ მათ დაპროექტებაზე.

საქვეყნოდ განთქმულია ჩვენებური ყარმადამის სილამაზე. წმინდად დაწნული ღობეები, კოინდრის ხალიჩით დაფარული წინა ეზო, წყაროები გზებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ქმნიან.

მაგრამ ამ ბოლო დროს რკინიგზის სადგურისა თუ სოფლის აღმინისტრაციულ-საზოგადოებრივი მოედნები, გზატკეცილები უგემვნოდ შესრულებულ ბეტონის სპატიო დაფებითა თუ ქანდაკებებით ირთვება. გზებზე ზოგჯერ ისეთ წყაროებს შეხვდებთ, წყურვილს სამუდამოდ მოგიკლავთ. თაბაშირისაგან ნაკეთები და ვერცხლისა თუ სხვაფრად შეღებილი პლანერისტები, ვეფხვთან შებმული ტარიელები, ირმები და სხვ. ხშირად მხოლოდ ამახინჯებენ მშვენიერ გარემოცვას, რომლთაც მაღლიან ბუნებას ასე უხვად დაუჯილდოებია ჩვენი კუთხე.

ქანდაკებათა განლაგების, მათი ხარისხისა და შერჩევის საქმე მკაცრად უნდა დაექვემდებაროს რომელიმე, ეთქვათ მხატვართა კავშირის სამხატვრო საბჭოს, რომ მონუმენტური პროპაგანდის ფრიად საპირო ფორმები იღებულად გამიზნული და მხატვრულადაც შესაფერი იყოს.

უნდა შეიქმნას ე. წ. არქიტექტურის მცირე ფორმათა ტიპური პროექტებიც. მაშინ კოლმეურნეებს აღარ შეეედავებით უგემოვნო წყაროებისა თუ რკინის აჭრელებული ჭიმკრების აგებაში.

სოფლის მშენებლობისადმი დახმარება ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. ამას წინათ არქიტექტორთა კავშირმა ამ საკითხს გამგეობის სპეციალური სხდომა მიუძღვნა. პრესაშიც საინტერესო მსჯელობა გაიმართა, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ ცოტა რამ გაკეთდა.

აუცილებლად უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი ინსტიტუტი სოფლის თუ რაიონის მთავარი არქიტექტურისა. ჩვენი არქიტექტორთა კავშირი ასობით არქიტექტორს აერთიანებს. არის ყველა შესაძლებლობა, რომ რაიონებსა თუ სოფლებს მიემაგრონ ცალკეული არქიტექტორები, რომელთა მონაწილეობის მიუღებლად სოფლად მშენებლობა არ უნდა წარმოებდეს. ეს იქნება არქიტექტორის საზოგადოებრივი დატვირთვა, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლია სოფლად მშენებლობის მნიშვნელოვან საქმეში. როგორც არქიტექტორთა კავშირის გამგეობის სხდომამ დაადასტურა, არქიტექტორები მზად არიან ამისათვის. ახლა საქმე ადგილობრივ ხელმძღვანელობის მხარდაჭერაზეა.

მშენებლობის ეკონომიურობისა და რაციონალურობისათვის უნდა შეიქმნას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ქარხნები, რომლებიც დამზადებენ არა მარტო იმ სამშენებლო კონსტრუქციებს და დეტალებს, რომლებიც საზოგადოებრივ-საწარმოო ობიექტებისათვის არის გამიზნული, როგორც ახლაა ზოგიერთ რაიონში, არამედ იმ დეტალებსაც, რომლებიც საცხოვრებელ სახლთა მშენებლობისათვის იქნება გამოსაყენებელი. ეს კოლმეურნეს დიდად შეუწყობს ხელს, მისცემს დანაზოგს დროსა თუ ხარჯებში. ამაზე პირდაპირ არის ნათქვამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში: „უნდა წავახალისოთ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოთა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა, სახელმწიფო-საკოლმეურნეო ელექტროსადგურთა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი გადამუშავების შენახვისა და ტრანსპორტირების საწარმოთა, სხვადასხვა სახეობის მშენებლობის, საშენი მასალების, კონსტრუქციების, საწარმოთა და სხვ. ერთობლივად მშენებლობის პრაქტიკა“.

უნდა შეიქმნას გენერალური პროექტები, რომლებიც დაგეგმარების ახალი მეთოდებით, რაც სოფლის განვითარებას ახალ საფეხურზე ასვლით არის ნაკარნახევი, შექმნის კომპაქტურ გეგმას. ეს საშუალებას მოგვცემს ეკონომიურად გამოვიყენოთ ტერიტორია, ქუჩათა ქსელი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, რაც საინჟინრო კომუნიკაციებისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა მოცულობას შეამცირებს, გაიაფებს მას

დღეს ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად არქიტექტურისა და მშენებლობის გამოცდილების პროპაგანდის საკითხებს. სოფლებში კულტურის უნივერსიტეტში თუ სხვაგან უნდა ეწყობოდეს ლექციები, რომლებიც სოფლის მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის საქმის მოემსახურება.

სოფლის არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხების გაცნობისას კიდევ ბევრი საკითხი წამოიჭრება, რომელთა მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლა გადაუდებელი ამოცანაა.

სწორად ამ მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან და საპროექტო ინსტიტუტ „სოფლმშენსახპროექტთან“ ერთად მოიწვია რესპუბლიკური თათბირი, მასში მონაწილეობისათვის მეცნიერ მუშაკთა, არქიტექტორთა და მშენებელთა გარდა მოწვეული არიან საქართველოს სსრ ცალკეული რაიონების პარტიის რაიკომების მდივნები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რაისაბჭოების აღმასკომების მშენებლობისა და კულტურის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“, მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და სხვ.

სოფლის არქიტექტურული მშენებლობის საკითხები თანამედროვე მოთხოვნილებებს უნდა უპასუხებდეს. დაგეგმარებისა თუ ცალკეულ ობიექტთა ახალი პროექტების შექმნით ჩვენი არქიტექტორები, მშენებლები, კონსტრუქტორები თავიანთ წვლილს შეიტანენ სოფლის მოსახლეობის სამუშაო პირობების, ყოფის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ნ. ჯანბერიძე.
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

* * *

გამოფენა „სოფლის არქიტექტურა“ სურათებზე: მარცხნივ — სოფელ ოფურჩხეთის განაშენიანების პროექტი (არქ. ნ. ქურდიანი); ზემოთ — კოლმეურნის საცხოვრებელი ოროთახიანი სახლი (არქ. მ. კაკაბაძე და თ. ალავერდაშვილი); ქვემოთ — კოლმეურნის საცხოვრებელი სახლი (არქ. გ. გაბაშვილი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გუშინდელი ფოსტიდან

გ. ჩალაგაშვილის სტუმრები

სიღნაღი. ვაზი, ხეხილი, სიმინდი, საზამთრო, ყაზანლიყის ვარდი, რეჰანი, თამბაქო — რა გინდა რომ აღაზნის ველზე არა ხარობდეს. აქ საძოვრებიც ბევრია, სადაც ცხვარმრავალი ფარები იზამთრებენ.

ალაზნის მარჯვენა მხარეს, ხელოვნურად ამაღლებულ ადგილებში ძველი ანაგის კოლმეურნეობას მწყემსებისათვის ბინები აუგია. ერთ მათგანში პირველი ბრიგადა ბინადრობს. მას საქართველოში ადრეული დოლის პირველი მარცხალი გიორგი ჩალაბაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადა „მოსავლის აღებას“ ამთავრებს. თითო-ორ-ოლა დედაცხვარი თუ დარჩა დასაღოლებელი. საბატკნეები თუშური ცხვრის ნამატით აივსო.

ძველანაგელ ჩალაბაშვილთან ხშირად ჩამოდიან სტუმრები. მისი მდიდარი გამოცდილება ახმეტელებსაც აინტერესებთ და თელაველებსაც, სამგორელებსაც და ბოლნისელებსაც. აწლა ჩალაბაშვილს ბოლნისელი მეცხვარეები ესტუმრნენ. მათ შორის იყო მეცხვარეობის ფერმის გამგე არჩილ ბაქრაძე.

ბოლნისელებმა დათვალიერეს ბრიგადის კეთილმოწყობილი ფარეხები. ჩალაბაშვილი სტუმრებს ესაუბრა ადრეული დოლის უპირატესობაზე.

ს. ქორიძე.

აგაშელები მოუწოდებენ...

ამ დღეებში გაიმართა აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. გასული წლის სამეურნეო შედეგებსა და მიმდინარე წლის ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი კ. ხუბულავა.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს რაიონის შუქურებმა თ. ფრანგიშვილმა, გ. გუგუშვილმა, ა. კაკარავამ, ნ. ჭანტურიამ, ნ. თოფურიამ და სხვებმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მომართვა რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი.

ი. თოფურია.

საზოგადოებრივ საწყისებზე

პარტიის წითელწყაროს რაიკომმა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა პოლიტიკური განათლების კაბინეტი. ხელმძღვანელად დამტკიცებულია ახალგაზრდა ზო

ცხოვრების ქართული მხატვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დიდი ბელეტრისტი

მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისი უშუალოდ არის დაკავშირებული XX საუკუნის ქართული მწერლობის სათავეებთან. იგი ამ მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ქართული მწერლობის უმდიდრესი ეროვნული ტრადიციებისა და მსოფლიო ლიტერატურის უკანასკნელი მიღწევების ორგანულმა ათვისებამ მიხეილ ჯავახიშვილს ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის საშუალება მისცა.

ახალგაზრდობის განთიადზე მწერლის ყურადღება მიიქციეს პატარა და ცხოვრებაში ფუნქციადაკარგულმა ადამიანებმა. მ. ჯავახიშვილის ამგვარი მოქმედება სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება. სოციალური უსამართლობისაგან დატანჯული და დაბეჩავებული ადამიანის შებრალების გრძნობა სავსებით შეესატყვისებოდა ახალგაზრდა მწერლის ჰუმანისტურ პრინციპებს. მართლაც, მწერალი შეუძლებელია გულგრილი დარჩენილიყო ცხოვრებისეული ბოროტებისადმი.

პატარა ადამიანებზე დაწერილი მოთხრობების ციკლით დამთავრდა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების პირველი პერიოდი. 1908 წლიდან მ. ჯავახიშვილმა მხატვრული სიტყვის ოსტატი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ლ ი ს ა ნ ა ლ ი ს ა ნ ა ლ

მ. ჯავახიშვილი: ომი ხალხებს არ სჭირდებათ!

მშვიდობის ქომაგი

„სამშობლო ანტიმილიტარიზმის იდეის გავრცელება, ანტიმილიტარისტთა არმიის გაზრდა, გადიდება და გაძლეურება; საკითხია პროპაგანდა, პროპაგანდა და ისევ პროპაგანდა!“.

არ გეგონოთ, რომ ეს სიტყვები ნათქვამია დღეს, როცა მთელ მსოფლიოში ასე მძლავრად არის გამლილი მშვიდობის მოძმრეთა მოძრაობა. ეს სიტყვები 1905 წელს დაწერა და ეკუთვნის მაძინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალს — მიხეილ ჯავახიშვილს.

1905 წლის 2 ნოემბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ერთი საყურადღებო წერილი, რომელსაც ხელს აწერს მ. ად-ლი (მ. ჯავახიშვილის ფსევდონიმი იყო). წერილის სათაურია „მილიტარიზმის ბუნება, მისი განვნის ისტორია და მოსპობის აუცილებლობა“.

„უეიდალიზმის, ნაგრეგებზე აღმოცენებულმა ABSOLUTIZMMა თავისი ტახტი მუდმივი ჯარის დაარსებით გამაგრა“ — წერს ჯავახიშვილი. შემდეგში ABSOLUTIZMს ბოლო მოეღო, სათავეში ბურჟუაზია მოექცა, მაგრამ მუდმივი ჯარი არა თუ არ მოისპო, არამედ მისი რაოდენობა თანდათან უფრო სწრაფად გაიზარდა. ავტორს კარგად ესმის, რომ „კაპიტალისტურ წარმოებას სულ ახალ-ახალი ბაზარი სჭირდება“, ხოლო ამ ბაზრების მოპოვებისათვის ჯარი და იარაღი საჭირო.

მ. ჯავახიშვილი ამჩნევს, რომ ჯარისა და შეიარაღების ზრდას თან სდევს პროლეტარიატის ზრდაც. „იზრდება ის ძალა, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს მთელ იმ წესწყობილებას, რომლის შვილიც მილიტარიზმია“.

ავტორი არა მარტო კაპიტალიზმის მოსპობის მოთხოვნას აყენებს, არამედ ზუსტად განსაზღვრავს მის შემცველსაც, როცა ამბობს, რომ: „მუდმივი ჯარის მოსპობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთო სოციალიზმის განხორციელების საკითხთან და მისი გამოცალკევება არასაზით არ შეიძლება“.

1906 წელს მ. ჯავახიშვილი კიდევ შეეხო მილიტარიზმისა და ომის საკითხს. გაზეთ „ვლეზში“ 13 იელის გამოქვეყნებულ წერილში მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ერთ ხალხს მეორესთან გასაყოფი არაფერი აქვს და ჩხუბსაც არ დაუწყებს. ერთმანეთს მხოლოდ მდიდრები და მეფეები ეჩხუბებიან“. როცა გაბატონებული „კლასები ხალხის შვილებს ომში ერეკებიან, თვითონ შინ სხედან და ფუფუნებაში არიან. მშრომელი კაცი კი თავის ცოლ-შვილს, ოჯახსა და სახლ-კარს ღვთის ანაბარა ტოვებს და ომში მიდის.

ძალზე საინტერესოა მ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი მაგალითი რუსეთ-იაპონიის 1904 წლის ომისა. ამ ფაქტში ავტორი ხედავს ომის მთელ უაზრობას და საშინელებას მშრომელი ხალხისთვის, ხოლო მოგების მიღებას გაბატონებული კლასებისათვის. ომის ცხადად გამოკვეთა, რომ ომი ხალხებს კი არ სჭირდებათ, არამედ გაბატონებულ კლასებს, რადგან ომით ისინი ისქელებენ კიბეს, მიუთითებს მ. ჯავახიშვილის მაღალ კლასობრივ შეგნებაზე და საკითხის სწორად შეფასებაზე.

აი რას წერს თვითონ მ. ჯავახიშვილი: „შარმანწინ იაპონიისა და რუსეთის სახელმწიფოებს ჩხუბი მოუვიდათ ჩინეთის მიწაზე. ეს მიწა არც იაპონიისა იყო და არც რუსეთისა, მაგრამ ორივემ დაბალი ღობე იპოვეს და მისი მოტაცება მოინდომეს. ატყდა ჩხუბი. ორივე ხელმწიფემ გამოუცხადა თავიანთ ხალხს: არიქა, ჩვენს სამშობლოს ხიფათი მოელის და უშველეთო. რის სამშობლო! რის ხიფათი! მანჯურია არც რუსეთის სამშობლო იყო და არც იაპონელისა. ის ქვეყანა ჩინელებს ეკუთვნოდა, მაგრამ რადგან ჩინეთი სუსტი სახელმწიფო იყო და ვერ მოახერხა სვეციის მოგერება, ამიტომ განზე გადგა და დაიწყო ყურება. წაეკიდნენ ერთმანეთს რუსეთი და იაპონია“.

აღშფოთებული ავტორი კითხულობს: „მერე? ხალხმა რა მიიღო? ვის რა დარჩა?“ და პასუხიც ნათელია: მიიღო აუარებელი ცრემლი, ტანჯვა, წვალება, შიმშილი და ეაიგაგლახი. მაშ ვისთვის იყო საჭირო ეს ომი? ვისთვის, და ისევ მდიდრებისათვის, გენერლებისათვის, მთავრობისათვის. ეაჭრები უფრო გამდიდრდნენ ომში, გენერლებმა კი ხალხის ფულით ჯიბეები გაისქელეს, ჩინ-მედლები მიიღეს.

ავტორი სარკასტულად შენიშნავს, რომ რაცა ფრონტზე ვაჟკაცობის გამოჩენა იყო „საჭირო, ეს ვაჟბატონი გენერლები ერომანეთს ეკიბრებოდნენ გამოქცევაში, აქ ჩამობრუნებულები კი რევოლუციას სისხლში ახრჩობენო.

მ. ჯავახიშვილი მოითხოვს ჯარის მოსპობას. მას კარგად ესმის, რომ ეს ხალხის განუთავსუფლებლად არ მოხდება. როცა ხალხი თავისი ბატონ-პატრონი გახდება, მაშინ შეიძლება ამ იდეის განხორციელება. მანამდე იგი მოითხოვს ჯარში სამსახურის ვადის შემოკლებას, ჯარისკაცისადმი ადამიანურ მოპყრობას, ყველა კუთხის წარმომადგენლისათვის სამხედრო სამსახურის გავლას თავისსავე კუთხეში, ჯარში განათლების შეტანას და ა. შ. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოთხოვნილებაა. საბოლოო მიზანი, ავტორის რწმენით, არის ჯარის მოსპობა, ომების მოსპობა.

განხილული ორივე წერილი თითქმის ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება — მილიტარიზმის ლიკვიდაციას, შეიარაღების მოსპობას, ომების მოსპობას.

დიდ ჰუმანიზმს, ხალხის ინტერესების ღრმა გაგებას და ერთგულებას ქადაგებენ ჯავახიშვილის ეს წერილები. ამიტომ არის იგი ასე მახლობელი ჩვენთვის.

ტ. კვანჭილაშვილი.

მოკლედ ყველაფერზე

△ ამ დღეებში დაბა ყვარელში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა დაიწყო ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქციამ. რედაქციაში შექმნილია აგიტაციისა და პროპაგანდის, პარტიული და კომკავშირული ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის, ლიტერატურისა და ხელოვნების და სხვა განყოფილებები.

△ თელავი. (საკ. კორ.). ერთი წელიც არ არის, რაც ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ შენობაზე გამოჩნდა წარწერა „თელავგაზი“. ეს ორგანიზაცია თელავისა და ახმეტის რაიონების მცხოვრებთ თხევადი გაზით ამარაგებს. ამ უკანასკნელ ხანს ოთხასამდე ოჯახში დაიდგა გაზქურა.

△ მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). დაბა მაიაკოვსკში რაიონის კულტურის სახლის ბაზაზე შეიქმნა და მუშაობას შეუდგა სახალხო თეატრი.

სახალხო თეატრის კოლექტივმა (რეჟისორი ა. გუბელაძე) პრემიერად უჩვენა დ. ერისთავის ისტორიული დრამა „სამშობლო“. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

△ ტყიბული. ამ დღეებში ტყიბულის ცენტრში კიდევ ერთი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი გადაეცა საექსპლოატაციოდ. აქ ბინები მიიღეს ლენინის სახელობის შახტის მუშაკებმა.

საჰაერო მგზავრობისათვის

ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო ფართოდ ინერგება ტრანსპორტის ახალი და მოხერხებული სახე — საჰაერო საბაგირო გზები. თბილისში ასეთი გზა ორია, რომლებიც აკავშირებენ რუსთაველის პროსპექტს მთაწმიდასთან და დიღუბეს საბურთალოსთან.

„საქგიპროშახტის“ ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსებმა თბილისისათვის კიდევ ერთი ახალი საბაგირო გზის პროექტი შექმნეს. ეს არის ჭავჭავაძის პროსპექტისა და კუს ტბის შემაერთებელი გზა.

კუს ტბა ყველაზე ახლოს მდებარეობს ჩვენს დედაქალაქთან. ტბის ტერიტორიის კეთილმოწყობის შემდეგ იგი თბილისელებისათვის ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილი იქნება. ტბაზე ასვლისათვის გათვალისწინებულია საბაგირო გზის გაყვანა, რომლის სიგრძე პროექტის მიხედვით 1.160 მეტრი იქნება.

ტურისტ - ექსკურსანტების უკეთ მომსახურების მიზნით ინსტიტუტის მუშაკებმა დაამუშავეს ყაზბეგის საბაგირო გზის პროექტი. გზის სიგრძე 2 კილომეტრი იქნება, რომელიც ყაზბეგის ცენტრს დაუკავშირებს სამების მთას.

ჭიათურა თანდათანობით ისერება საბაგირო გზებით. ხაზებზე დასრულებენ სამგზავრო და ძვირფასი ნედლეულით დატვირთული ვაგონები. ჭიათურაში კიდევ ორი ახალი საბაგირო გზა აშენდება. პირველი — პერევისის დასახლებულ პუნქტს დაუკავშირებს სამეცარდნოს სამრეწველო მოედანს, მეორე — ზედა რგანის გადამტვირთავ კვანძს სამრეწველო ცენტრს.

უარშან შემოდგომაზე მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელ სადგურში დაიწყო მუშაობა პარკოსანი კულტურებისა და ხანჭკოლას შერჩევისა და გავრცელებისათვის. 5 ჰექტარზე წარმოებს დაკვირვება 120 ჯიშის საკვებ პარკოსანზე და 70 ჯიშის ხანჭკოლაზე.

სურათზე: სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგურის ლაბორანტები ნ. კუპრეიშვილი (მარცხნივ) და გ. გვასალია აწარმოებენ დაკვირვებას საკვები პარკოსანი კულტურების ზრდაზე საცდელ ნაკვეთში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

შეხვედრები მაღიში

გამაკო, 16 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი **რ. სერებრიანიკოვი** იუწყება:

გულთბილად შეხვდა დღეს მალის რესპუბლიკის დედაქალაქი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ა. ი. მიქოიანს, რომელიც აქ ჩამოვიდა მეგობრულ ვიზიტად მალის რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით.

გამაკო, 17 იანვარი. (საკდესი). უპასუხა რა მალის რადიოს კორესპონდენტის კითხვაზე ბამაკოს აეროდრომზე ჩასვლის შემდეგ, ა. ი. მიქოიანმა განაცხადა:

მე ჩამოვუტანე საუკეთესო გრძნობები და სურვილები ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამავე დროს აფრიკის ყველაზე ძველ ცნობილ სახელმწიფოს, რომელიც ახლა აღორძინდა სრულიად ახალ საფუძველზე.

მე ჩამოვუტანე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სალამი მალის სახელმწიფოს მთავრობის თავმჯდომარეს მოდიბო კეიტას.

ჩვენ ვიცით, რომ ხალხი თქვენში დაბეჩავებული იყო, ცხოვრობდა კოლონიზატორთა ბატონობის პირობებში, მაგრამ სულით იგი მტკიცე და ახალგაზრდაა.

პროგრესისადმი, სწრაფი ეროვნული აღორძინებისადმი, კულტურული განვითარებისადმი მისწრაფებით არიან გამსჭვალული თქვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს ადამიანები.

მე მსმენია კარგი ამბები თქვენი ქვეყნის შესახებ და იმედი მაქვს, რომ თვითონ ვნახავ, გავეცნობი; ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ურთიერთგაგებასა და ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განმტკიცებას, ქვეყნებისა, რომლებიც ერთმანეთისაგან შორს არიან მანძილით, მაგრამ ახლოს არიან სულისკვეთებით.

მე გაბედულად შემოვდგი ფეხი მალის მიწა-წყალზე აგრეთვე იმიტომ, რომ, ეს-ეს არის ვიყავი თქვენს მოკავშირე სახელმწიფოებში, გეინეასა და განაში, გავეცანი იქ ხალხსა და ხელმძღვანელებს. მე კარგად ვგრძნობ თავს თქვენს წინაშე იმიტომ, რომ შევიტყვე, როგორი არიან თქვენი მოკავშირეები, მაშასადამე თქვენც ისეთივე კარგნი ხართ, როგორც ისინი.

მხურვალე სალამი გადაეცით თქვენს რადიომსმენელებს საბჭოთა ადამიანებისაგან.

საბჭოთა სატელევიზიო ფილმების წარმატება

პარიზი, 16 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა სატელევიზიო დოდგმამ „ეზოპემ“ („მელა და ყურძენი“) პრემია მიიღო საუკეთესო დრამატული ფილმებისათვის ტელევიზიის მე-2 საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც მონტე-კარლოში მიმდინარეობს. ფესტივალში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 15 ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, არგენტინა, კანადა, ინგლისი, იაპონია, საფრანგეთი.

საბჭოთა კავშირმა უჩვენა აგრეთვე სატელევიზიო ფილმები „თავზედი“, „ცხოვრება თავიდან“, „ვერდის მუსიკა“ და „პირველი ცოლის მორჯულება“.

საკდესის პარიზელი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მონტე-კარლოში ფესტივალზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს კ. ს. კუზაკოვს და სთხოვა მას ეამბნა ფესტივალის შედეგების შესახებ.

საბჭოთა ფილმს „ეზოპეს“ პრემია მიეკუთვნა მთელი ჟიურის ერთხმლოვანი გადაწყვეტილებით, თქვა კ. ს. კუზაკოვმა.

საბჭოთა ტელევიზიის მუშაობა აღინიშნა კიდევ ერთი პრემიით: იგი მიეკუთვნა ნიჭიერ საბჭოთა კინომსახიობს ლუდმილა კასატკინას ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სატელევიზიო დოდგმაში — ფილმ „პირველი ცოლის მორჯულებაში“.

ფესტივალის შვიდი დანარჩენი პრემიიდან ორი მიიღეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ორი ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიამ და თითო პრემია მიეკუთვნა საფრანგეთის, იაპონიისა და უნგრეთის დოდგმებს.

ჟიური და კრიტიკა, თქვა შემდეგ კ. ს. კუზაკოვმა, აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა ფესტივალზე წარმოადგინა პუმანისტური და ოპტიმიზმით აღსავსე სურათები, რომ საბჭოთა სატელევიზიო დოდგმების დონე მნიშვნელოვნად უფრო მაღალია ამერიკულზე.

როგორც თვითონ ჟიურის, ისე ადგილობრივი პრესის დიდი აღტაცება გამოიწვია კონკურსგარეშე ნაჩვენებმა და ფერადი ტელევიზიისათვის განკუთვნილმა საბჭოთა ფილმმა „ცეკვის პოემა“. ფრანგული პრესა აღნიშნავს მოცეკვავე ესამბაევის ქორეოგრაფიულ ოსტატობასა და განსაცვიფრებელ ტექნიკას ამ ფილმში.

ფესტივალის საზეიმო დახურვა, რომელზეც მოხდება პრემიების გადაცემა, გაიმართება 17 იანვარს.

საუბარი გულითადი იყო

ჰავანა, 16 იანვარი. (საკდესი). ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასკომის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წევრები „პრავდის“ მთავარი რედაქტორის პ. ა. სატიუკოვის მეთაურობით გუშინ საღამოს შეხვდნენ ფიდელ კასტროს. კუბის პრემიერ-მინისტრთან საუბარი ხანგრძლივი და გულითადი იყო.

კონგოს ამბები

ლეოპოლდვილი, 17 იანვარი. (საკდესი). კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა კასავუბუმ გუშინ ხელი მოაწერა ბრძანებულებას კონგოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტიდან ანტუან გიზენგას გადაყენების შესახებ.

ლეოპოლდვილი, 17 იანვარი. (საკდესი). კონგოს პრემიერ-მინისტრმა სირილ ადულამ, რომელმაც გუშინ გააკეთა განცხადება კონგოს მდგომარეობის შესახებ თქვა, რომ ახლა იგი განიხილავს საკითხს მთავრობის შესაძლო წევრების შესახებ. ადულამ აღნიშნა, რომ მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად მთავრობის შემადგენლობაში, შესაძლოა, შევლენ ჩომბეს პარტიის „კონაკატის“ წარმომადგენლები. „კონაკატის“ პარტიის მონაწილეობა, — განაცხადა ადულამ, — დამოკიდებული იქნება იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ბატონი ჩომბე მიიღებს კატანგის პროვინციული კრების სესიის შემდეგ“.

შეეხო რა გიზენგას გადაყენებას, ადულამ თქვა, რომ პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თითქოს „უგულებელყო“ კონგოს პარლამენტის დეპუტატთა პალატის გადაწყვეტილება, რომელმაც მოითხოვა სტენლივილიდან მისი დაუყოვნებლივ ჩამოსვლა დედაქალაქში. მას შემდეგ, რაც პალატამ გაკიცხა გიზენგა, თქვა ადულამ, კასავუბუმ ძირითადი კანონის საფუძველზე ხელი მოაწერა ბრძანებულებას მისი გადაყენების შესახებ.

პარიზი, 17 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც კომენტარს უკეთებს კენჭისყრას დეპუტატთა პალატაში, რაც ადულამ დაიმოწმა გუშინდელ განცხადებაში, აღნიშნავს, რომ გიზენგას გაკიცხვის რეზოლუციისთვის ხმა არ მიუცია პალატის წევრთა ნახევარსაც კი — 67 დეპუტატმა 137-დან;

ნიუ-იორკი, 17 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი იუწყება, კონგოს პრემიერ-მინისტრი სირილ ადულა მომავალ კვირაში ვაშინგტონს ჩავა.

„პრეზიდენტმა კენედიმ და სახელმწიფო მდივანმა რასკმა, — განაგრძობს გაზეთი, — გამოთქვეს კმაყოფილება იმ პროგრესის გამო, რომელსაც აღწევენ პრემიერი და ბატონი ჩომბე თავიანთი მოლაპარაკების დროს იმ შეთანხმების განხორციელების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს კიტონში“.

ტელეგრამები გვატყობინებს

ნიუ-იორკი, 17 იანვარი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან სანტო-დომინგოდან, 16 იანვარს დომინგოს რესპუბლიკაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხოაკინ ბალაგერი გადადგა. ძალაუფლება ხელთ იგდო სამოქალაქო-სამხედრო ხუნტამ, რომლის შემადგენლობაში ოთხი სამოქალაქო და სამი სამხედრო წარმომადგენელია.

დასავლეთი ბერლინი, 16 იანვარი. (საკდესი). ბონის მმართველმა წრეებმა დაგეგმეს ახალი პროვოკაცია დასავლეთ ბერლინში. როგორც პრესა იუწყება, 31 იანვარს აქ ორი კვირის ვიზიტად ჩამოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბკე. იგი აპირებს დასავლეთ ბერლინში შეასრულოს თავისი „საპრეზიდენტო ფუნქციები“, თუმცა, როგორც ცნობილია, მისი უფლებამოსილება არ ვრცელდება დასავლეთ ბერლინზე.

ოტავა, 17 იანვარი. (საკდესი). კანადაში კვლავ იზრდება უმუშევრობა. ოფიციალური მონაცემებით, 1961 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამუშაო დაკარგა კიდევ 64 ათასმა კანადელმა. ამრიგად, გასული წლის ბოლოს უმუშევართა რიცხვმა 418 ათას კაცს მიაღწია, რაც ამ ქვეყნის მთელი მუშა ძალის 6,4 პროცენტს შეადგენს.

ბოლანდიის სომალდების პროვოკაცია

ჯაკარტა, 16 იანვარი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ჰოლანდიის სამხედრო ხომალდები პროვოკაციულად დაესხნენ თავს ინდონეზიის რამდენიმე სატორპედო კატაორას.

ზემოაღნიშნული განცხადება დღეს გაკეთა დასავლეთ ირიანის განთავისუფლების ოპერატიული შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა აჰმედ იანმ. იანმ აღნიშნა, რომ სულ უკანასკნელ დრომდე ორივე მხარის როგორც სამხედრო-საზღვაო, ისე სამხედრო-საჰაერო ძალები ჩვეულებრივ ეწეოდნენ საპატრულო სამსახურს. დროდადრო ერთი მხარის პატრულები გაშლილ ზღვაში ან საჰაერო სივრცეში ხვდებოდნენ მეორე მხარის პატრულებს და ჩვეულებრივ ისინი სჯერდებოდნენ ერთმანეთისათვის თვალყურის დევნებას. მაგრამ ამჯერად ჰოლანდიელები მოულოდნელად დაგვესხნენ თავს, და ინდონეზიის მთავრობა ამჟამად იღებს საჭირო ღონისძიებებს ამ თავდასხმის საპასუხოდ.

ქენედის თათბირი

ჟენევა, 16 იანვარი. (საკდესი). დღეს ჟენევაში მუშაობა განაახლა სამი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების) თათბირმა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე.

კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 16 იანვარი. (საკდესი), თვენახევრის შესვენების შემდეგ გუშინ საღამოს აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედის მორიგი პრეს-კონფერენცია, რომელზეც მთავარი ყურადღება მიექცა ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო მდგომარეობისა და ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს.

პრეს-კონფერენციის დასაწყისში პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელიც მიეღვნა მეცნიერთა და ტექნიკური კადრების ნაკლებობას შეერთებულ შტატებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერთა და ტექნიკური კადრების ნაკლებობა, ხაზგასმით აღნიშნა კენედიმ, ერთ-ერთი უყველაზე კრიზისული პრობლემაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს. თუ 1951 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების ფიზიკის ფაკულტეტები დაამთავრა 19.600 სტუდენტმა, 1960 წელს, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდისა უკანასკნელ ათ წელიწადში და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოთხოვნილება კვალიფიციურ ადამიანებზე ამ დარგში კოლოსალურად გაიზარდა, ამ ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა რიცხვი შემცირდა 17.100 კაცამდე. 1951 წელს ბიოლოგიის მეცნიერებანი შეისწავლა 22.500 სტუდენტმა, ხოლო 1960 წელს — სულ 16.700 კაცმა. 1957 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილებაზე შემსვლელთა რიცხვი განუწყვეტლივ კლებულობდა და 269 ათასიდან შემცირდა 240 ათასამდე.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში ერთ-ერთმა კორესპონდენტმა მოიგონა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს მან პირობა დადო მისი არჩევის შემთხვევაში გამოეცა ბრძანება, რომელიც აკრძალავდა რასობრივ სეგრეგაციას ფედერალურ ხელისუფალთა დაბინავებით აშენებულ სახლებში. კორესპონდენტმა მოიგონა აგრეთვე ამასწინანდელი ცნობები პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ მოიცადოს ასეთი ბრძანების მიღებით.

კენედიმ უპასუხა კორესპონდენტს და ამტკიცებდა, თითქოს შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ 12 თვეში მეტ პროგრესს მიაღწიეს სამოქალაქო უფლებათა დარგში, ვიდრე უკანასკნელი 8 წლის მანძილზე. ამრიგად, თქვა მან, ჩვენ წინ მივდივართ. მაგრამ მთელი ეს მსჯელობა „მნიშვნელოვან წარმატებათა შესახებ“ კენედის მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რომ განეცხადებინა, ჯერჯერობით არ ვაპირებ სეგრეგაციის აკრძალვის ბრძანების გამოცემასო. ასეთ ბრძანებას, თქვა კენედიმ, გამოვცემ, როცა ამას საჭიროდ მივიჩნევ სახელმწიფოს ინტერესებისათვის და როცა მივიჩნევ, რომ ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი წვლილი ჩვენი მოქალაქეების უფლებებისათვის ბრძოლაში.

შტრაუსი: „15 თითი სასხლეტ მექანიზმზე? სისულელეა! საკმარისია ერთი — ჩემი თითი!“.

კარიკატურა გაზეთ „ანდერე ცაიტუნგიდან“, ჰამბურგი.

ნატოს ახალი მანევრები

ბონი, 16 იანვარი. (საკდესი). დღეს მაინის ფრანკფურტის სამხედრო აეროდრომზე დაეშვნენ პირველი თვითმფრინავები, რომლებითაც ჩამოვიდნენ ამერიკის მე-4 ქვეითი დივიზიის ჯარისკაცები. ესე დაიწყო დიდი საჰაერო ოპერაცია — ამ დივიზიის 6.000 ჯარისკაცის გადმოყვანა ამერიკიდან შეერთებული შტატებიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ ნატოს მანევრებში.

როგორც იუწყება ამერიკის ევროპის სამხედრო საჰაერო ძალების შტაბი (ვისბადენი), ჯარების გადმოყვანის ოპერაცია მიმდინარეობს ომის პირობებთან მიახლოებულ პირობებში. ოპერაციაში მონაწილეობას იღებს 100 სატრანსპორტო თვითმფრინავი. ფრანკფურტის აეროდრომზე დაშვებისთანავე ჯარის ნაწილები ავტომანქანებით იგზავნება მანევრების რაიონში ჰოენფელსის სამხედრო პოლიგონზე.

კოლონიალიზმის ერა დასასრულს უახლოვდება. მით უფრო მეტი გამძაფრებით აპირებენ კოლონიზატორები დაიცვან თავიანთი „უფლებები“. ფურნალ „ნიოე ბერლინერ ილუსტრირტედან“ ამოღებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია მომენტი ინგლისელი ჯარისკაცების სწავლებისა ქალაქ სოლსბერიში (ინგლისი).

ოლიმპიადა

არჩევნების შედეგები ფინეთში

ჰელსინკი, 17 იანვარი. (საკდესი). წინასწარი მონაცემების თანახმად, ფინეთის პრეზიდენტის ამომრჩეველთა არჩევნებში, რაც 15-16 იანვარს მოეწყო, მონაწილეობა მიიღო 2.141.586 ამომრჩეველმა (ხმის უფლების მქონე 78 პროცენტზე მეტმა).

წინასწარი შედეგები ცხადყოფენ ფინეთის ახლანდელი პრეზიდენტის ურხო კეკონენის ბლოკის დიდ გამარჯვებას, რომელსაც ხმა მისცა 969.824 კაცმა (ელექტორის მონაწილეთა 45,1 პროცენტმა). კეკონენის ბლოკს ჰყავს 145-146 ამომრჩეველი.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირისაგან პ. აიტიომ მიიღო 441.199 ხმა (20,4 პროცენტი). ფინეთის ხალხის დემოკრატიულ კავშირს ჰყავს 64 ამომრჩეველი (წინა არჩევნების დროს ფინეთის ხალხის დემოკრატიულმა კავშირმა მიიღო 354.575 ხმა და ჰყავდა 56 ამომრჩეველი).

სოციალ-დემოკრატიული კავშირის კანდიდატმა ე. სკუგმა მიიღო 54.405 ხმა (3 პროცენტი და 2-1 ამომრჩეველი).

კანდიდატმა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან რ. პაასიომ მიიღო 283.189 ხმა (13,0 პროცენტი). პარტიას ჰყავს 36 ამომრჩეველი.

ამომრჩეველთა კოლეგია ფინეთის პრეზიდენტს აირჩევს 15 თებერვალს.

მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 17 იანვარი. (საკდესი). დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ოროგბითი რეზიდენციის ადმირალტი-ჰაუზის შენობაში დაიწყო ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანისა და იტალიის პრემიერ-მინისტრის ა. ფანფანის მოლაპარაკება.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მოლაპარაკების დროს განიხილავენ საკითხებს დასავლეთ ბერლინის, „საერთო ბაზის“ შესახებ და საერთაშორისო ურთიერთობის სხვა პრობლემებს.

გ. ტიტოვი ინდონეზიაში

ჯაკარტა, 16 იანვარი. (საკდესი): მთავრდება საბჭოთა კოსმონავტის გ. ტიტოვის მოგზაურობა ინდონეზიაში. გუშინ თვითმფრინავმა „ილ-18“, რომელშიც ისხდნენ კოსმონავტი და მისი თანმხლენი განათლებისა და კულტურის მინისტრი პრიიონო და საბჭოთა ელჩი ნ. ა. მიხაილოვი, ორ საათში გაიარა 1.300 კილომეტრი და ჯაკარტიდან ჩავიდა ჩრდილოეთ სუმატრის უდიდეს ქალაქ მედანში. აქ, ისე როგორც ინდონეზიის სამ წინა კუნძულზე — იავაზე, სულავესისა და ბალიზე, — კოსმოსის საბჭოთა გმირს მოელოდა უაღრესად გულთბილი და მეგობრული შეხვედრა.

ნაშუადღევს მთელი ვრცელი მწვანე მოედანი გუბერნატორის სასახლის წინ ხალხით იყო გაჭედილი. ათი ათასზე მეტი კაცი, მეტწილად სტუდენტი და მოსწავლე, სულგანაბული უსმენდა ახალგაზრდა კოსმონავტის ნაამბობს.

დაე საბჭოთა კოსმონავტების, საბჭოთა მეცნიერების საგმირო საქმენი ღირსეული მაგალითი იყოს ჩვენთვის, ახალგაზრდა ინდონეზიელებისათვის ცოდნის დასაუფლებლად, ბუნების ასათვისებლად ბრძოლაში, განაცხადა საბჭოთა კოსმონავტის გამოსვლის შემდეგ ჩრდილოეთ სუმატრის პროვინციის გუბერნატორმა რაჯა ჯუნ-ჯუნგანმა. თქვენი ვიზიტი, ძვირფასო კოსმონავტო გ. ს. ტიტოვ, კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას ჩვენს ხალხებს შორის.

საბჭოთა სტუმრისადმი დიდ ყურადღებასა და პატივისცემას მოწმობდა აგრეთვე დარბაზობა, რომელიც საღამოს გაიმართა გუბერნატორთან. დარბაზობაზე მოვიდნენ სუმატრის ყველაზე დაშორებული რაიონების ხელმძღვანელები. სუმატრის ხელმძღვანელებმა გ. ს. ტიტოვს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები. დღეს კოსმონავტი ჯაკარტაში დაბრუნდა.



ოლიმპიადა

პირველი ხუთი ტურის შედეგები

ერევანი. 17 იანვარი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს შედგა ხუთი ტურის შემდეგ გამოტოვებული და გადადებული პარტიების გათამაშება.

გამოტოვებულ პარტიებიდან საერთაშორისო ოსტატის ვოლპერტისა და ოსტატ ვოიტინკის შეხვედრაში ფიქსირებული იქნა ყაიმი. საერთაშორისო ოსტატმა როოტარემ ძლიერად ჩაატარა ბრძოლა ტალინელ მოჭადრაკე რანიკუსთან და გაიმარჯვა. კაცკოვამ მოუგო კოზლოვსკაიას. კაკაბაძემ ბიშარდთან გადადებულ პარტიაში დამარცხება განიცადა.

ჩემპიონატის ლიდერის ოსტატ ტოგონიძისა და საერთაშორისო ოსტატის ვოლპერტის პარტია არ გათამაშებულა, რადგან ვოლპერტი ამ დღეს გამოტოვებულ პარტი